პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

28 თებერვალი, სამშაბათი, 1989 წ.
№ 41 (9960) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის XX საერთაშორისო ტრადიციული ტურნირი ძიუდოში

# თორმეტი მედალი და გუნდური მეორე ადგილი

არის
სამი ოქროს,
სამი ვერცხლისა
და ექვსი
ბრინჯაოს
ჯილდო!


გურამ მოდებაძე


იგორ ჟუჩკოვი

**შაბათს,** თბილისის საერთაშორისო ტურნირის ბოლოსწინა დღეს გათამაშდა მედლების კიდევ ორი კომპლექტი 65 და 60 კგ წონით კატეგორიებში. საქართველოს ძიუდოისტებმა პირადი ტურნირი მაჟორულ ტონალობაში დაამთავრეს — მოიპოვეს თითო ოქროს, ვერცხლისა და სამი ბრინჯაოს მედალი, სულ კი ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებს ამ ტურნირში თორმეტი ჯილდო ხვდათ, იმდენი, რამდენიც სსრ კავშირის ნაკრების წევრებს.

65 კგ წონაში გამარჯვება ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელმა გურამ მოდებაძემ მოიპოვა. მან ხუთი შეხვედრა ჩაატარა და ყველა თავის სასარგებლოდ დაამთავრა, მათ შორის აბდულ ალიევთან, ანატოლი პარსაევთან, ჯონი ლიპარიძესთან (ყველა — საბჭოთა კავშირი). ფინალში გასვლის კარგი შანსი ჰქონდა მონღოლეთის გუნდის წევრს სონომპოგ ერდენებატარსაც, მაგრამ მოდებაძე აშკარად უფრო ძლიერი აღმოჩნდა თავის მეტოქეზე და ეს პრინციპული ბრძოლაც მოიგო (იუკოთი).

მეორე ფინალისტმა ანდრეი იუშინმაც (სსრ კავშირი) ოთხი ბრძოლა ჩაატარა მანამ, სანამ გადამწყვეტ შეხვედრაში მონაწილეობის უფლებას მოიპოვებდა, მაგრამ მოდებაძესთან ვერაფერს გახდა და იძულებული იყო ვერცხლის მედალს დასჯერებოდა. გურამ მოდებაძემ რესპუბლიკის ნაკრებს მესამე ოქროს მედალი შესძინა.

60 კილოგრამში გამარჯვების კარგი შანსები ჰქონდა ბადრი ბასილაშვილსაც (საქართველო). წინასწარ შეხვედრებში მისი უპირატესობა უდავო იყო: ოლეგ კარპოვსა და ვიაჩესლავ გუსაროვს ვაზარით მოუგო, მერე წმინდად დაამარცხა იაპონელი ხიტოში ნოგუჩი (მეორე წუთზე) და ფინალში გავიდა, სადაც მისი მეტოქე იგორ ჟუჩკოვი (სსრ კავშირი) იყო.

ბასილაშვილმა ფინალური შეხვედრაც აქტიურად ჩაატარა. იგი უფრო გაბედულად იბრძოდა და ერთ მომენტში ჟუჩკოვმა პასიური ჭიდაობისთვის შიდოც კი დაიმსახურა. მაშინ, როცა ბრძოლის ბედი უკვე გადაწყვეტილი გვეგონა, ქართველმა ძიუდოისტმა წამით მოადუნა ყურადღება და მეტოქეს იუკო დაუთმო. დაკარგულის ანაზღაურება დარჩენილ მცირე დროში ფაქტიურად შეუძლებელი აღმოჩნდა და ბადრი ბასილაშვილი ვერცხლის ჯილდოს დასჯერდა.

ამ დღეს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩვენი რესპუბლიკის კიდევ სამმა მოჭიდავემ ბრინჯაოს მედლები მიიღო. ესენი გახლდნენ: 65 კგ წონით კატეგორიაში არსენ აზალაძე, 60 კგ-ში რობერტ ლომთაძე და ჯამბულ მასურაშვილი.

თბილისის საერთაშორისო ტურნირის პირადი შეჯიბრების შედეგები ყველაზე ნათლად ქვემოთ მოყვანილ ცხრილშია მოცემული:

| | | | |
|---|---|---|---|
| სსრ კავშირი | 4 | 3 | 5 |
| საქართველო | 3 | 3 | 6 |
| საფრანგეთი | — | 1 | 1 |
| მონღოლეთი | — | — | 1 |
| კსდრ | — | — | 1 |

უკვე ვთქვით, რომ საბჭოთა კავშირისა და საქართველოს ძიუდოისტებმა 12-12 საპრიზო ადგილი დაიკავეს. მაგრამ მხოლოდ ამ მაჩვენებლით უძლიერესი კოლექტივის გამოვლენა, ცხადია, არ შეიძლება. სწორედ ამის გამო ტურნირის ბოლო დღე გუნდურ ასპარეზობას დაეთმო.

შეჯიბრებაში, რომელიც ოლიმპიური სისტემით მოეწყო, შვიდი კოლექტივი მონაწილეობდა. ფავორიტები — სსრ კავშირისა და საქარ-

იხ. მე-3 გვ.



# ქართველი მოჭადრაკეების ტრიუმფი

**საფრანგეთის ქალაქ ჰავრიდან დაბრუნდნენ მსოფლიოს ექსჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი და ახალგაზრდა საერთაშორისო დიდოსტატი ქეთევან არახამია. ქართველმა ქალებმა კიდევ ერთხელ თქვეს თავისი სიტყვა საჭადრაკო დაფებთან, წარმატების ყოველგვარი იმედი გადაუწურეს ძლიერ მეტოქეებს (შეჯიბრება X კატეგორიისა იყო) და I-II ადგილები გაიყვეს. არახამიამ დამატებითი კოეფიციენტების დათვლისას ერთადერთი პუნქტის წყალობით აჯობა თანამემამულეს.**

**დღეს გაზეთის სტუმარია ნონა გაფრინდაშვილი.**

შეჯიბრება კარგად დავიწყე — თქვა მსოფლიოს ექსჩემპიონმა — ხუთიდან 4,5 ქულა მოვაგროვე (მხოლოდ პირველ ტურში დავზავდით მე და არახამია), ქეთინომ კი ყაიმებით დაიწყო ტურნირი — ოთხ ტურში სამი პარტია ყაიმით დაამთავრა. მაგრამ აქ საქმე ისაა, რომ წილისყრამ სტარტზე მე შედარებით სუსტი მეტოქეები მარგუნა, ქეთინოს კი — პირიქით, ძლიერი.

მთელი ტურნირი თანაბრად ჩავატარე, მხოლოდ VI ტურში ვიწვნიე შემთხვევითი და, ამდენად, საწყენი მარცხი ილდიკო მადლისგან (ბოლო წუთს უხეში შეცდომა მომივიდა). პრინციპული გამარჯვებები მოვიპოვე სიუზან არკელთან და მარგარეტ ვოისკასთან (VIII და X ტურებში). საქმე ისაა, რომ ჩემი ერთგვარი წაფორხილებით ისარგებლა არკელმა და VII ტურის შემდეგ ნახევარი ქულით გამისწრო, ვოისკასთან შეხვედრის წინ კი მე და სიუზანა მაქსიმოვიჩი 6,5-6,5 ქულით ვლიდერობდით. ბოლო ტურში სწორედ მაქსიმოვიჩს დავუზავდი, თუმცა უფრო სასიამოვნო პოზიცია მქონდა. არახამია დამეწია, ხოლო უკეთესი კოეფიციენტის გამო მაჯობა კიდეც. აბსოლუტურად თანაბარი კოეფიციენტები გვქონდა და მას იმიტომ მიენიჭა უპირატესობა, რომ მადლს მოუგო, რომელთანაც წაგებული მქონდა პარტია. და თუმცა ვოისკამ ქულა „აართვა" არახამიას (როგორც უკვე ვთქვი, დავამარცხე ვოისკა), საბოლოოდ მადლმა ვოისკაზე მეტი ქულა მოაგროვა. სწორედ ამან გადაწყვიტა პირველი ადგილის ბედი. თუმცა როგორც იტყვიან, „ძმურად გავიყავით", თითოეულმა 16 ათასი ფრანგული ფრანკი მივიღეთ (გამარჯვებულს უნდა მიეღო 20 ათასი, ხოლო II ადგილზე გასულს — 12 ათასი. რაკი თანაბარი ქულები დავაგროვეთ, ორგანიზატორებმა გაყვეს ეს საპრიზო ფონდი და თანაბრად გაგვინაწილეს).

ბოლოსწინა ტურში მაქსიმოვიჩი დამარცხდა მოჭადრაკესთან, რომელსაც ნახევარი ქულაც კი არ ჰქონია. მიუხედავად იმისა, რომ იუგოსლაველი საერთაშორისო ოსტატი ჩვენი უშუალო კონკურენტი იყო, ძალიან გვეწყინა მისი ეს „ბრმა" მარცხი, ვინაიდან მაქსიმოვიჩი შესანიშნავად თამაშობდა და სულ რაღაც ნახევარი ქულა დააკლდა დიდოსტატის ნორმის შესრულებამდე.

● **როგორც ჩანს, სწორედ ეს სამი მოჭადრაკე აცხადებდით პრეტენზიას პირველი ადგილისთვის.**

— ჩვენ სამნი და არკელი.

ძალიან სუსტად გამოვიდა მადლი. გამოგიტყდებით, მისი ასეთი უღიმღამო თამაში არ მახსოვს, თუმცა თითქმის ყველა პარტიაში უმართლებდა.

● **გამარჯვებულზე რას იტყვით?**

— ქეთევანმა ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა. მეტად თავმდაბალი, გულისხმიერი ქალიშვილია და უდავოდ უაღრესად ნიჭიერიც.

● **მას შემდეგ, რაც არახამია „დიდ სარბიელზე" გავიდა, მაღალი შედეგების მიუხედავად, თითქმის ყველა სპეციალისტი ერთხმად აღნიშნავდა მის, თუ შეიძლება ასე ითქვას, „სიყვარულს ცაიტნოტებისადმი"**

იხ. მე-3 გვ.

საქართველოს ჩემპიონატი საერთაშორისო შაშში

# წარმატება განამტკიცა

**მცირეწლოვანთა** შემოტევა სპორტის ზოგიერთ სახეობაში საკმაოდ გახშირდა. მიუხედავად ამისა, ვერა და ვერ შევლევივართ გაოცების გრძნობას, როცა ისინი „დაუნდობლად" აყრევინებენ ფარ-ხმალს ბრძოლებში გამობრძმედილ სტაჟიან მეტოქეებს, არად დაგიდევენ უფროს-უმცროსობას.

ერთი ასეთი „კერკეტი კაკალი" შარშან გავიცანით. თბილისის 23-ე საშუალო სკოლის VII კლასის მოსწავლე მადონა შალამბერიძემ რუსულ შაშში საქართველოს ქალთა ჩემპიონატში ოქროს მედალი მოიპოვა.

და აი, წელს 12 წლის მადონა (მწვრთნელი თენგიზ რეხვიაშვილი) რესპუბლიკის უძლიერესის სახელს ამჯერად უფრო პრესტიჟულ — საერთაშორისო შაშში დაეუფლა.

ჩემპიონატში, რომელსაც თბილისის ჭადრაკის სასახლემ უმასპინძლა, კონკურსგარეშე მონაწილეობდნენ ლატვიის წლევანდელი ჩემპიონი ვიტალია დუმეში და ექსჩემპიონი ელა ზილბერმანი. სტარტზე დაწინაურდნენ ვიტალია დუმეში და საქართველოს ექსჩემპიონი, თბილისელი ლალი ჩომახიძე. მადონამ ამ შეჯიბრებაში პირველი და უკანასკნელი წაგება სწორედ ჩომახიძესთან იგემა. თუმცა, თავის მხრივ, ვერც ლალი გადაურჩა წაგებას, შუა ტურში იძულებული გახდა ვიტალიას დანებებოდა.

ყველაზე დაძაბული და საინტერესო შალამბერიძე-დუმეშის „დუელი" გამოდგა. ლატვიელი ოსტატი მთელი შეხვედრის მანძილზე თავს იცავდა და წაგებას მხოლოდ ენდშპილში ზუსტი სვლებით გადაურჩა. ყაიმით დამთავრდა აგრეთვე შალამბერიძე-ზილბერმანის შეხვედრა. ამის შემდეგ მადონამ ზედიზედ ექვსი პარტია მოიგო, ბოლო ტურში საქართველოს შარშანდელ ჩემპიონს ლია ღირდალაძეს დაუზავდა და 9,5 ქულით ჩემპიონის ტიტული მოიპოვა (თბილისელ მოჭადრაკეს მხოლოდ უკონკურსოდ მონაწილე დუმეშმა გაუსწრო — 11 ქულა. მესამე შედეგი აჩვენა ასევე უკონკურსოდ მონაწილე ზილბერმანმა — 9 ქულა).



მეორე ადგილი წილად ხვდა ლალი ჩომახიძეს, მესამე — ლია ღირდალაძეს.

ამ გამარჯვებით მადონა შალამბერიძემ მოიპოვა საბჭოთა კავშირის პირველობის ნახევარფინალში გასვლის საგზური. ეს შეჯიბრება დუშანბეში გაიმართება 3-13 მარტს.

**ლევან ჯაბაძე.**

**სურათზე: მადონა შალამბერიძე.**
**ავტორის ფოტო.**

## ტელეტაიპი - მკითხველი

**მოსკოვი.** მძლეოსანთა ზამთრის საკავშირო თასის გათამაშებაში იგორ კაზანოვმა (ლატვია) ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა 60 მეტრზე თარჯრბენში. — 7,42.

**ტომსკი.** აქ გაიმართა საკავშირო თასის გათამაშება წყალქვეშა სპორტში, რომელზეც ორი მსოფლიო რეკორდი გაუმჯობესდა. ლენინგრადელმა ალექსი სემიონოვმა 400 მ. წყალქვეშა ცურვაში 2.57,70 აჩვენა, 100 მეტრიანი დისტანცია კი ნოვოსიბირსკელმა სერგეი ახაპოვმა 37,65-ში დაფარა.

**კიევი.** მოცურავეთა ზამთრის ჩემპიონატში ოდესელმა იულია ბოგაჩოვამ სამი ოქროს მედალი მოიპოვა. 18 წლის სპორტსმენი უძლიერესი იყო 200 მ და 400 მ კომპლექსურ ცურვაში, აგრეთვე 200 მ. ბრასში.

საქართველოს ჭაბუკ წყალბურთელთა პირველობა

# ქუთაისელთა სიურპრიზები

**რესპუბლიკის** ჭაბუკ წყალბურთელთა პირველობაზე მრავალი წელია, რაც თბილისის „დინამოსა“ და საქართველოს სახალხო განათლების სამინისტროს გუნდები უპირველეს ფავორიტებად ითვლებიან. საბოლოო გამარჯვების ბედი ტრადიციულად სწორედ ამ გუნდებს შორის შეხვედრის შემდეგ ირკვევა და მათ დავაში პრაქტიკულად ვერავინ, ან თითქმის ვერავინ ერევა.

ტრადიციის გაგრძელებას ველოდით წლევანდელ რესპუბლიკურ შეჯიბრებაშიც, რომელშიც 1971-72 წლებში დაბადებული ჭაბუკები მონაწილეობდნენ. ეს ასპარეზობა თბილისში, ვაკის საცურაო აუზში გაიმართა.

დინამოელებმა და განათლების გუნდმაც შეხვედრები გამარჯვებებით დაიწყეს და შუა ტურნირში ერთმანეთს შეხვდნენ. ეს მატჩი დაძაბულ, საინტერესო ორთაბრძოლას გვპირდებოდა: ჯერ ერთი, დამარცხება არავის უნდა, მეორეც — ამ შეჯიბრებაში გამარჯვებული ჭაბუკთა საკავშირო პირველობის საგზურს იმსახურებდა. ამიტომ ერთმაც და მეორემაც „დინამოს“ ოსტატ წყალბურთელთა გუნდიდან უხმეს დავითიანსა და გონაძეს, რომლებიც წლეულს უმაღლეს ლიგაში გამოდიან. პირველი „ნორჩი დინამოელის“ აღსაზრდელი იყო, ხოლო მეორე — სახალხო განათლების გუნდისა. ერთმაც და მეორემაც გადაწყვიტა თავის გუნდს დახმარებოდა და მიზნის მისაღწევად ძალღონეც არ დაუშურიათ.

დინამოელებმა გაიმარჯვეს 8:5. თუმცა, ეს ანგარიში ბრძოლის სიმძაფრეზე სულაც არ მეტყველებს. მართალია, თავდაპირველად



ხარბიელზე არიან თბილისის „ნორჩი დინამოელისა“ და საქართველოს სახალხო განათლების სამინისტროს წყალბურთელთა გუნდები. ცენტრში — ზ. დავითიანი.

დინამოელები დაწინაურდნენ და მეორე პერიოდის მიწურულს უკვე 4 ბურთით (5:1) იგებდნენ, მაგრამ შემდეგ მეტოქემ იმდენი მოახერხა, რომ წონასწორობა აღადგინა და ერთხანს თანაბარი ბრძოლაც მიმდინარეობდა. საბოლოოდ მაინც დინამოელებმა (ლ. ნოზაძე, ი. და გ. ტატიშვილები, ვ. ბუხნიკაშვილი, ზ. დავითიანი, დ. ბურდული, რ. კაპანაძე, პ. შატბერაშვილი, ნ. ვარიჭაშვილი, კ. ოსიპოკი, მ. გოგიშვილი, ვ. ღლონტი, დ. მიროტაძე. მწვრთნელი თ. ივანიშვილი) გაიმარჯვეს — 8:5.

ამ შეხვედრით თითქოს ყველაფერი გაირკვა, თითქოს გამარჯვებულსა და დამარცხებულს I-II ადგილებს ვეღარავინ შეეცილებოდა, მაგრამ ყველასთვის მოულოდნელად ავანსცენაზე ქუთაისის განათლების განყოფილების წარმომადგენლები გამოვიდნენ. მწვრთნელ კ. კაზიევისა და ე. ფესტვენიძის აღსაზრდელებმა დინამოელებთან და განათლების სამინისტროს წარმომადგენლებთანაც ფრედ (შესაბამისად 10:10 და 8:8) ითამაშეს, დანარჩენი შეხვედრები მოიგეს და საბოლოოდ მეორე ადგილი დაიკავეს. ისინი დინამოელებს მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩნენ.

ეს, რა თქმა უნდა, მოულოდნელი სიურპრიზი გახლდათ, რამაც ბუნებრივია, შეჯიბრება გაცილებით საინტერესო და დაძაბული გახადა. ამას გარდა, თბილისის „დინამოს“ ოსტატ წყალბურთელთა გუნდის უფროსმა მწვრთნელმა გივი ჩიქვანაიამ ქუთაისელთაგან, როგორც იტყვიან, თვალი დაადგა გიორგი ფხაკაძეს, რომელიც 1973 წელსაა დაბადებული, მაგრამ მისი სიმაღლე უკვე 187 სანტიმეტრია. როგორც ჩიქვანაიამ გვითხრა, თუ ფხაკაძე კარგად ივარჯიშებს, ორი-სამი წლის მერე მისგან კარგი წყალბურთელი დადგება.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ქუთაისში ბოლო დროს გამოჩნდა რამდენიმე ჭაბუკი წყალბურთელი, რომლებმაც სპეციალისტთა მოწონება დაიმსახურეს და ისინი რესპუბლიკის სხვადასხვა ნაკრებ გუნდებშიც მიიწვიეს.

სამწუხაროდ, ამ შეჯიბრებაში სხვა წყალბურთელებს ყურადღება არ მიუპყრიათ, თუმცა რამდენიმე სიტყვა გვინდა ვთქვათ ასპარეზობაში უკონკურსოდ მონაწილე საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებ გუნდზე, რომელიც სულ ახლახანს შეიქმნა და მისი წევრები 1973 წელს არიან დაბადებულნი. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ძირითადად თავისზე უფროსებს ეჯიბრებოდნენ, უკლებლივ ყველა შეხვედრა მოიგეს.

სხვათა შორის, ამ გუნდს ავარჯიშებს თბილისის „დინამოს“ ოსტატ წყალბურთელთა გუნდის ერთ-ერთი მეკარე გ. ტუკვაძე, რომელიც აქტიურ სპორტს ახლახან გამოეთხოვა. მის ბიჭებს ამ ზაფხულს სპორტსკოლების აღსაზრდელთა საკავშირო თამაშებში საქართველოს პრესტიჟის დაცვა მოუწევთ და რესპუბლიკურ პირველობაზე უფროს კოლეგებთან გამარჯვება მომავალი პაექრობებისათვის ოპტიმიზმის საფუძველს გვინერგავს.

შეჯიბრებაში უკონკურსოდ გამოდიოდა კიდევ ერთი გუნდი — პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების ნაკრები, თუმცა, მას დიდად არ გამოუჩენია თავი და ქულათა ნახევარი დაკარგა.

ახლა დავუბრუნდეთ კონკურსში მონაწილე გუნდებს.

სახალხო განათლების სამმართველოს გუნდმა, როცა მეორე ადგილიც დაკარგა, ბრინჯაოს მედლებისთვის შეჯიბრების ბოლო დღეს რუსთავის „ფოლადს“ შეხ-




თბილისის „ნორჩი დინამოელის“ გუნდი და მისი მწვრთნელი თ. ივანაშვილი.

ვდა. ეს დაძაბული მატჩი პირველის გამარჯვებით დამთავრდა — 12:8.

რატომ გაუჭირდა სახალხო განათლების გუნდს?

სამწუხაროდ, თბილისში, საირმის ქუჩაზე მდებარე მათ აუზში წყლის გათბობის საკითხი ვერა და ვერ გადაიჭრა. ეს აუზი შეფერხებებით მუშაობს, რაც, ბუნებრივია, ვარჯიშის ხარისხზე უარყოფითად მოქმედებს.

უარესი მდგომარეობაა სოხუმში, სადაც დოსაათის აუზის გათბობის საკითხიც მოუგვარებელია. აქაური წყალბურთელები ასეთ მდგომარეობაში რომ არიან, სკოლის დამთავრების შემდეგ სპორტის თავიანთ საყვარელ სახეობას ეთხოვებიან და, რაღა თქმა უნდა, აფხაზეთიდან რესპუბლიკის ნაკრებშიც ვერავის იწვევენ. რაღა გასაკვირია, რომ სოხუმის „დინამოს“ გუნდმა ყველა შეხვედრა წააგო. მათმა ბათუმელმა თანაკლუბელებმა, მართალია, ორი ქულა მოაგროვეს და ისიც სოხუმელებთან შეხვედრაში, მაგრამ სპეციალისტთა თქმით, აჭარის გუნდი გასულ წლებთან შედარებით ახლა უკეთ იყო მომზადებული.

**ავთანდილ გურასაშვილი.**
ავტორის ფოტოები.

საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლების რესპუბლიკური სპარტაკიადა

# სურვილებს, სურვილებს...

**თბილისში** დამთავრდა საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებელთა რესპუბლიკური სპარტაკიადა, რომლის პროგრამაში სპორტის 6 სახეობა იყო.

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის კოლექტივმა უძლიერესის სახელი მოიპოვა ფრენბურთში, ტყვიით სროლასა და ცურვაში. აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა მძლეოსნობასა და ფეხბურთში იმარჯვეს, ხოლო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კოლექტივმა — ჭადრაკში.

შარშან ბათუმისა და ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტების გუნდებმა უამინდობის გამო სპარტაკიადაში მონაწილეობა ვერ მიიღეს, წლეულს კი საქართველოს ცხრამეტივე უმაღლესი სასწავლებლის 542 პროფესორ-მასწავლებელი ჩაება ბრძოლაში. აქედან 77 ქალი იყო.

მონაწილეთა შორის იყო 15 პროფესორი, მათ შორის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი ნოდარ ამაღლობელი და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორი თენგიზ ურუშაძე.

— მაინც, რითაა საინტერესო სპარტაკიადაში მონაწილეობა? — ვეკითხებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის დეკანის მოადგილეს, დოცენტ გიორგი ასლანიდს.

— ყველა სპარტაკიადაში ვმონაწილეობდი, — ამბობს ასლანიდი. — მომავალში სანამ შესაძლებლობა მექნება, არც ერთ სპარტაკიადას არ გამოვტოვებ. მასში მონაწილეობა ჩემთვის დიდი სიხარულის მომგვრელია, 72 წლისა ვარ, თავს მხნედ და ჯანსაღად ვგრძნობ, ამას კი ინტენსიური ვარჯიშის წყალობით ვაღწევ. სასიამოვნოა, რომ ამ ვარჯიშის შედეგებს სპარტაკიადაზე ამოწმებ და თან შენი უნივერსიტეტის პრესტიჟს იცავ.

პროფკავშირთა ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკურმა საბჭომ, რომელმაც ეს სპარტაკიადა ჩაატარა, მოაწყო შეჯიბრების მონაწილეთა შორის სოციოლოგიური გამოკითხვა.

თუ რა მიზნებსა და ამოცანებს ისახავდა ეს გამოკითხვა და როგორი შედეგები მოგვიტანა მან, ამის შესახებ მოგვითხრობს ზემოხსენებული რესპუბლიკური საბჭოს სტუდენტი და მოსწავლე ახალგაზრდობის სამმართველოს უფროსი გივი მძელური.

— გამოკითხვის მიზანი იყო გაგვერკვია, რა დონეზე დგას ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა ჩვენი რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში და რა მიაჩნიათ მისი გაუმჯობესების მთავარ პირობად, — გვეუბნება გ. მძელური. — წინასწარ გეტყვით, რომ გამოკითხვაში 92 პროფესორ-მასწავლებელი მონაწილეობდა. მათი 43 პროცენტი თვლის, რომ უმაღლეს სასწავლებლებში ფიზაღზრდის კათედრის მუშაობა დამაკმაყოფილებელია. 56 პროცენტმა თავი შეიკავა პასუხისაგან, ერთმა პროცენტმა კი უარყოფითი პასუხი მოგვცა. გამოკითხულთა 48,5 პროცენტი სისტემატურად ვარჯიშობს, 46 პროცენტი არაა ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობაში ჩაბმული, ხოლო 5,5 პროცენტმა თავი აარიდა პასუხს.

ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მთავარ პირობად გამოკითხულთა უმრავლესობა ასახელებს მძლავრ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას. ამასთან, როგორც გამოკითხვამ გვიჩვენა, საჭიროა უმაღლეს სასწავლებლებში ხშირად მოეწყოს მასობრივი სპორტული შეჯიბრებები, რომელშიც სტუდენტებთან ერთად პროფესორ-მასწავლებლებიც გამოვლენ. თქვეს, რომ საჭიროა სასწავლებლის ხელმძღვანელის პირადი მონაწილეობა ასეთ შეჯიბრებებში.

საინტერესოა აგრეთვე, რომ გამოკითხულთა უმრავლესობამ მოითხოვა ინსტიტუტებში გამოცდა ისევე ხდებოდეს, როგორც სხვა საგნებში, ამისთვის კი საჭიროდ ჩათვალეს საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ფიზკულტურული მუშაობის მკვეთრად ამაღლება. ამასთან, საჭიროდ მიიჩნიეს, რომ სპორტულმა სკოლებმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესონ თავიანთი მუშაობის ხარისხი, რაც შეეხება საკუთრივ სპარტაკიადას, გამოკითხულთა უმრავლესობა მოითხოვს, რომ მისი პროგრამა უფრო მრავალფეროვანი გახდეს.

მკითხველთათვის საინტერესო იქნება, ალბათ, შემდეგი მონაცემებიც: გამოკითხულთა 19 პროცენტს სურს, რომ პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების საქართველოს რესპუბლიკურ საბჭოს „იბერია“ ერქვას, 18 პროცენტი კი „შევარდენის“ ასახელებს.

გამოკითხვის შედეგად ბევრი საინტერესო და მრავალფეროვანი მასალები დაგვიგროვდა და მას აუცილებლად გამოვიყენებთ ჩვენს შემდგომ მუშაობაში.

**მურად ზარნაძე,**
**თბილისის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის VI კურსის სტუდენტი.**

# დაველოდოთ სექტემბერს

**ქუთაისში,** 10 გუნდის მონაწილეობით, გაიმართა ხელბურთელ ქალთა რესპუბლიკური ჩემპიონატის პირველი ტურის შეხვედრები.

როგორც მოსალოდნელი იყო, კარგად იასპარეზა თბილისის პირველმა გუნდმა, რომელიც საქართველოს ნაკრების წევრებით იყო დაკომპლექტებული. თბილისელებმა რვა ქულით პირველი ადგილი დაიკავეს. შვიდი ქულით მეორე ადგილი დაიკავა წყალტუბოს გუნდმა. თბილისელთა მეორე გუნდმა, რომელშიც ოლიმპიური რეზერვის სპორტული სკოლის სპორტსმენები გამოდიოდნენ, და ქუთაისელთა ნაკრებმა ექვს-ექვსი ქულა დააგროვეს და მესამე-მეოთხე ადგილები გაიყვეს. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ აფხაზეთის და ფოთის გუნდები (4-4 ქულა), აჭარის (3) და სამხრეთ ოსეთის (2) კოლექტივები. ვერც ერთი ქულა ვერ მოიპოვეს რუსთაველმა და ტყიბულელმა ხელბურთელებმა.

საქართველოს ჩემპიონატის მომდევნო ტური გაიმართება სექტემბერში და მაშინ გამოვლინდება საქართველოს ჩემპიონიც და პრიზიორებიც.

როგორც აღვნიშნეთ, ამ შეჯიბრებაში თბილისის პირველმა ნაკრებმა თითქმის უკონკურენციოდ გაიმარჯვა. ეს გუნდი ახალგაზრდულია, დაკომპლექტებულია 1970-1971 წლებში დაბადებული სპორტსმენებით, რომლებიც მეოთხე საკავშირო ახალგაზრდული თამაშებისთვის ემზადებიან (ხელბურთელი ქალები ივლისში ქალაქ დონეცკში იასპარეზებენ).

დასასრულ, აღსანიშნავია ქუთაისელთა გულთბილი მასპინძლობა, კვალიფიციური მსაჯობა და მონაწილეთა აზარტული, მაგრამ კორექტული თამაში.

**ირინა გაბარლიანი.**

# ხალხური თამაშების მადლი

**ალარავის** აეჭვებს, რომ სწორედ მოძრავ ხალხურ თამაშებს შესწევს უნარი მოსახლეობის ფართო მასები მიიზიდოს გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში. ამიტომაც დღეს დიდი მნიშვნელობა ენიჭება თამაშებს, საბჭოთა ხალხის ყოველდღიურობაში ფიზკულტურის, როგორც ჯანსაღი ცხოვრების ელემენტის დანერგვის ყველასთვის ხელმისაწვდომ საშუალებას.

ასეთი შესავალი იმისათვის დამჭირდა, რათა ხაზი გამესვა მინსკში გამართულ სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციისათვის, რომელიც ჩატარდა დევიზით — „სპორტული და მოძრავი თამაშები თანამედროვე ფიზკულტურულ მოძრაობაში“. აქ მოისმინეს ქვეყნის სხვადასხვა რეგიონის მეცნიერების გამოსვლები. სიამოვნებით მინდა აღვნიშნო, რომ განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორის, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის პროფესორ ვასილ ელაშვილის მოხსენებამ „ახალგაზრდობის ინტერნაციონალურ და პატრიოტულ აღზრდაში სპორტული და ეროვნული თამაშების როლის შესახებ“. პროფესორმა ვ. ელაშვილმა ქართველი ხალხის მდიდარი ეთნოგრაფიული და ისტორიული მასალის საფუძველზე ნათლად დაგვანახა, რომ ხალხური მოძრავი თამაშების პრობლემების აქტუალობა ხალხის ეროვნული კულტურის აღორძინების განუყოფელი ნაწილია.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ბოლო დროს სასიამოვნო ტენდენციად იქცა ქართველ და ბელორუს სწავლულთა ერთობლივი თანამშრომლობა მოძრავი ხალხური თამაშების პროპაგანდის საქმეში. სწორედ ამან განაპირობა ბელორუსიის ტელევიზიის გადაცემის — „გიხმობთ სპორტლანდია“ პოპულარობა. აქ დიდი ადგილი აქვს დათმობილი სსრ კავშირის ხალხთა თამაშებს, რომელთა შორის დიდ ინტერესს იწვევს ქართული ხალხური თამაში „ლახტი“.



მრავალწლიანი გამოცდილება უფლებას მაძლევს განვაცხადო, რომ ასეთი ურთიერთგაგება და ხალხური თამაშების დანერგვა დიდი საწინდარია სხვა ხალხებისადმი პატივისცემის, ინტერნაციონალური და პატრიოტული გრძნობის გამოსავლენად.

იმედი გვაქვს, რომ მომავალშიც კიდევ უფრო განმტკიცდება ბელორუსი და ქართველ მეცნიერების ურთიერთთანამშრომლობა ხალხური მოძრავი თამაშების განვითარებისა და მომავალი თაობის ფიზიკური აღზრდის საკეთილდღეოდ.

**ევგენი ბელერი,**
**ბელორუსიის ფიზკულტურის ინსტიტუტის დოცენტი, პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თორმეტი მედალი და გუნდური მეორე ადგილი

(დასასრული)

თელოს გუნდები კენჭისყრით სხვადასხვა ჯგუფებში მოხვდნენ. საბჭოთა ნაკრებმა დაამარცხა ჯერ გდრ-ის კოლექტივი (3:0), მერე კი რუმინეთის გუნდი (3:1).

საქართველოს ძიუდოისტთა პირველი მეტოქე იაპონელები იყვნენ. ეს ბრძოლა ჩვენმა მოჭიდავეებმა მოიგეს ანგარიშით 4:1 (გამარჯვება წონითი კატეგორიების მიხედვით მოიპოვეს: ვახტანგ ჯაფარიძემ, დავით ბაგაურმა, კობა კურტანიძემ და აკაკი კიბორძალიძემ).

მერე ტურნირის მასპინძლებმა მშრალი ანგარიშით (5:0) აჯობეს ფრანგებს. პირველი ქულა ჩვენს ნაკრებს ვახტანგ ჯაფარიძემ შესძინა, რომელსაც არ გამოუცხადდა მეტოქე. მაკარ თვალაძემ მეორე წუთის დასაწყისში შებოჭა სტეფან ფრემონი და წმინდა გამარჯვება მოიპოვა. დავით ბაგაურმა სარეკორდოდ მოკლე დროში (14 წამში) დაამთავრა ორთაბრძოლა სტეფან ტრენოსთან. ამ გამარჯვებით საქართველოს ძიუდოისტებმა გაინაღდეს ფინალში ბრძოლის უფლება, ამიტომაც დარჩენილი ორი შეხვედრის შედეგს, ფაქტიურად, აღარც ჰქონდა მნიშვნელობა. და მაინც, კობა კურტანიძემაც და აკაკი კიბორძალიძემაც წმინდა გამარჯვებები მოიპოვეს. კურტანიძემ დავიდ დუიეს აჯობა (1,16 წუთზე), კიბორძალიძემ კი ჟორჟ მატონეს (51 წამში).

ფინალური ბრძოლა საბჭოთა კავშირისა და საქართველოს ძიუდოისტთა შორის უაღრესად მძაფრი ბრძოლით აღინიშნა. სხვათა შორის,



ბადრი ბასილაშვილი



არსენ აზალაძე



ჯამბულ მასურაშვილი



რობერტ ლომთაძე

ამ შეხვედრის ბედი პირველსავე წუთის პაექრობამ გადაწყვიტა. ვახტანგ ჯაფარიძე გაცილებით უფრო აქტიური იყო, ვიდრე მისი მოწინააღმდეგე, ტაშკენტელი არტურ ბაბაიანი, რომელიც მეტწილად დაცვაზე ფიქრობდა და ბრძოლას გაურბოდა. მაგრამ არბიტრებმა მხოლოდ გააფრთხილეს ტაშკენტელი და შეხვედრაც ფრედ დამთავრდა (გუნდურ პირველობაში ფრე სათვალავში არ შედის). მაკარ თვალაძისა და კიშინიოველი ახტი მაჰომადოვის ორთაბრძოლის ბედი მესამე წუთის მიწურულს გადაწყდა. თვალაძემ დაიწყო ილეთი, რომელიც მაჰომადოვმა თავის სასარგებლოდ გამოიყენა და წმინდა გამარჯვებას მიაღწია. მეორე ქულა საბჭოთა ნაკრებს რიგელმა ვადიმ ვოინოვმა შესძინა. ბრძოლის პირველ ნახევარში მეტოქეებმა თითო „შიდო", „ჩუი" და „კეი-კოკუ" (ოფიციალური გაფრთხილებები პასიური ბრძოლისთვის) მიიღეს. შეხვედრის მეორე ნახევარი ვოინოვმა უფრო აქტიურად ჩაატარა და ერთ-ერთი უმაღლესი შეფასება (წმინდა გამარჯვების შემდეგ) — „ვაზარი" დაიმსახურა. ბრძოლა 4 წუთისა და 15 წამის შემდეგ შეწყდა...

დარჩენილ ორ შეხვედრაში კობა კურტანიძემ და აკაკი კიბორძალიძემ გაათანაბრეს ანგარიში (კურტანიძემ მინსკელ ევგენი დოლინინს აჯობა, კიბორძალიძემ კი კუიბიშეველ სერგეი კოსოროტოვს), მაგრამ ძიუდოს წესების თანახმად, ასეთ შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება იმას, ვისაც მეტი წმინდა გამარჯვება აქვს. ამ ნიშნით საბჭოთა ნაკრებს უკეთესი მაჩვენებლები აღმოაჩნდა და გუნდური გამარჯვებაც მას დარჩა. საქართველოს ათლეტები მეორე ადგილზე გავიდნენ.

მესამე ადგილები იაპონიის (მოუგეს საფრანგეთის ძიუდოისტებს — 3:2) და გდრ-ის (აჯობეს რუმინელებს — 4:1) წარმომადგენლებმა დაიკავეს.

კვირას, გუნდური შეჯიბრების დღეს, შესვენებისას, ჩატარდა მინი ტურნირი ქართულ ჭიდაობაში. უცხოელი ძიუდოისტები დიდი ინტერესით ადევნებდნენ თვალს ქართველ ფალავანთა გამოსვლებს. შეჯიბრება, რომელშიც რვა მოჭიდავე ასპარეზობდა, კასპელმა ჯემალ გუდიევმა მოიგო. ფინალში მან თანაქალაქელი რამაზ გოგიაშვილი დაამარცხა. მესამე ადგილი ხაშურელმა ჯონდო კაპანაძემ დაისაკუთრა, რომელსაც გადამწყვეტ ბრძოლაში მეტოქე არ გამოუცხადდა.

# ქართველი მოჭადრაკეების ტრიუმფი

(დასასრული)

— სხვათა შორის, ამ ტურნირში იგი სერიოზულად არ დამდგარა ცაიტნოტების ტყვეობის წინაშე. მართალია, დაძაბული იყო, მაგრამ მაინც ხალისით თამაშობდა. არახამიას თამაში აინტერესებს, იგი ყოველ პარტიაში იბრძვის, არ გეგმავს, ვისთან როგორ ითამაშოს; თუ დაფას მიუჯდა, უნდა იბრძოლოს. ეს ძალიან კარგი თვისებაა. სხვათა შორის, ტურნირის ერთ-ერთმა მსაჯმა მითხრა, არახამია კლასიკურად თამაშობს, სერიოზული მოჭადრაკეაო.

**● სანამ მკითხველებს ტურნირის საბოლოო შედეგებს გავაცნობდეთ, ორიოდე სიტყვა იქნებ ამ შეჯიბრების ირგვლივ გვითხრათ.**

— ჰავრში ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ ეწყობა საჭადრაკო ფესტივალი. წლეულს აქ მესამედ შეიკრიბნენ მოჭადრაკეები. რაც შეეხება ქალთა ტურნირს, იგი პირველად ახლა შეიტანეს პროგრამაში. ჩვენი შეჯიბრების პარალელურად მოეწყო შერეული ღია ტურნირიც, რომელშიც 85 ვაჟი და ქალი მონაწილეობდა. აქ პირველი პრიზი გლენ ფლირს გადაეცა, ჩვენი შეჯიბრების ერთ-ერთი მონაწილის მეუღლეს. მან ცხრიდან რვა ქულა მოაგროვა. 7,5 ქულით მეორე იყო ერიკ ფრი. 7-7 ქულით III-IV ადგილები გაიყვეს არნად ჰოგარდმა და გი მიშელმა.

ვთამაშობდით მუნიციპალიტეტის შენობაში. სხვათა შორის, აქვე იყო მოწყობილი სახვითი ხელოვნების ნამუშევართა გამოფენა-გაყიდვა. მხატვრებს თემად მხოლოდ ჭადრაკი აერჩიათ.

უამრავ შეჯიბრებაში მიმიღია მონაწილეობა, მაგრამ თამაშის პირობებით ეს ტურნირი ყველას სჯობდა.

ვცხოვრობდით ერთ პატარა, კერძო სასტუმროში. კეთილი მასპინძელი გვყავდა, ბოლო დღეს დიასახლისმა ქალაქგარეთ გაგვასეირნა, იქაურობა დაგვათვალიერებინა. ექსკურსიის შემდეგ ვთხოვე, სადმე კაფეში შევიდეთ, ყავაზე გპატიჟებთ-მეთქი. ერთ მომაღლო, ლამაზ ადგილას ავედით. ლამანშს გადავყურებდით. წამოსვლისას კი... ჩვენმა მასპინძელმა ქართული ჟესტი გააკეთა — არაფრის დიდებით არ გადაგვახდევინა ფული. მსგავს რამეს უცხოეთში, სასტუმროების პატრონებისგან, არ შევსწრებივარ და ამიტომაც დავრჩი გაოცებული.

**● ქალბატონო ნონა, თქვენ თუ არა, სხვას ვის უნდა ვკითხოთ, რაიმე საფრთხე ხომ არ ელის ჩვენს ქალთა ჭადრაკს. ალბათ მიხვდით დები პოლგარების, უფრო კი უმცროსი დის — იუდიტის მიერ „გადმოგდებულ ხელთათმანს" ვგულისხმობ.**

— საქმეც ისაა, რომ პოლგარიებს ჩვენთვის, ქალებისთვის არ გადმოუგდიათ ხელთათმანი. ისინი ისევ ვაჟებთან თამაშს არჩევენ. საწყენი კია. მივესალმები იმას, რომ იუდიტი და, საერთოდ, სამივენი, ჩვენკენ „შემობრუნდნენ". მართალია, თორმეტი წლის იუდიტს ფანტასტიკური შედეგები აქვს, მაგრამ, ვფიქრობ, მამაკაცებს პოლგარები ვერაფერს დააკლებენ.

**● კი მაგრამ, ცნობილმა ინგლისელმა მოჭადრაკემ დიულა საქსმა, ჩვენმა მიხეილ ტალმაც ხომ თქვეს, ცოტა ხანში უმცროსი პოლგარი გარი კასპაროვს შეხვდებაო?**

— გამორიცხულია. აქ მრავალი მომენტია გასათვალისწინებელი, მთავარი კი მაინც ბიოლოგიური და ფიზიოლოგიური მხარეა. მიკვირს, კაცები რატომ ვერ ხვდებიან ამას. მე მგონი, ისინი მაინც ემოციებს არიან აყოლილი, იუდიტის დღევანდელ ფანტასტიკურ შედეგებს უყურებენ. წინ კი არ იხედებიან. არადა, თუ გახსოვთ, ჟუჟა პოლგარმაც თითქმის ასე დაიწყო და მერე ერთგვარად მინელდა მისი მქუხარე გამარჯვებები. თუმცა, აქვე ვიტყვი, იუდიტი აშკარად უფრო ნიჭიერია თავის უფროს დაზე.

დღეს ხომ გამორიცხულია იუდიტის კასპაროვთან შეხვედრა უმაღლეს დონეზე, მერე და მერე, რომ დაქალდება, მით უმეტეს, თუ გათხოვდა კიდეც, ყველა ილუზია საპნის ბუშტივით გასკდება. ისე კი, მართლაც საინტერესოა მისი მომავალი ხუთწლიანი პერიოდი — თხუთმეტიდან ოც წლამდე.

ახლა მეორე მხარე ავიღოთ: რეკლამა. პოლგარები ხომ დასავლეთში არაოფიციალურ მსოფლიო ჩემპიონებად არიან მონათლული. სწორედ ამის გამოა, რომ სამივე დას თითქმის მთელი წლის მანძილზე სხვადასხვა სარფიან ტურნირებში სათამაშოდ იწვევენ. ეს მათ პროფესიულ დონეს ამაღლებს.

საბოლოოდ კი უნდა ვთქვა, რომ ვაჟებთან თამაში საჭიროა, ოღონდ, მხოლოდ ვარჯიშის სახით. სხვათა შორის, როცა უფრო ხშირად გამოვდიოდი ვაჟთა ტურნირებში, მაშინაც ამას ვამბობდი — ეს ჩემთვის დამხმარე შეჯიბრებებია-მეთქი.

ახლა უშუალოდ თქვენს წინა შეკითხვას ვუპასუხებ. მერწმუნეთ, ძალიან ნიჭიერი მოჭადრაკეები გვყავს, თანაც, სხვადასხვა თაობის. ამდენად, თითქოს არაფრის უნდა გვეშინოდეს, მაგრამ, გულახდილად ვთქვათ: თუ პოლგარებმა ჩვენსკენ იბრუნეს პირი, ძალიან მძაფრ კონკურენციას უნდა ველოდეთ....

ესაუბრა **დავით ჟელიძე.**

• • •

ახლა კი გთავაზობთ ჩვენი თანამემამულეების მიერ ჰავრში ნათამაშები პარტიების ტექნიკურ შედეგებს.

I ტური: **არახამია — გაფრინდაშვილი** 0,5:0:5; II. **გაფრინდაშვილი — მანსილა** 1:0, **მარიჩი — არახამია** 0,5:0,5; III. **არახამია — არკელი** 1:0, **ფლერი — გაფრინდაშვილი** 0:1; IV. **გაფრინდაშვილი — ლებელი** 1:0, **ვერეცი — არახამია** 0,5:0,5; V. **არახამია — ვოისკა** 0:1, **ტაინონი — გაფრინდაშვილი** 0:1; VI. **მადლი — გაფრინდაშვილი** 1:0, **მაქსიმოვიჩი — არახამია** 0,5:0,5; VII. **არახამია — მადლი** 1:0, **გაფრინდაშვილი — მარიჩი** 0,5:0,5; VIII. **არკელი — გაფრინდაშვილი** 0:1, **არახამია — მანსილა** 1:0; IX. **ფლერი — არახამია** 0:1, **გაფრინდაშვილი — ვერეცი** 0,5:0,5; X. **ვოისკა — გაფრინდაშვილი** 0:1, **არახამია — ლებელი** 1:0; XI. **ტაინონი — არახამია** 0:1, **გაფრინდაშვილი — მაქსიმოვიჩი** 0,5:0,5.

სატურნირო ცხრილი: **1. ქეთევან არახამია, 2. ნონა გაფრინდაშვილი** — 8-8 ქულა, 3. **სიუზანა მაქსიმოვიჩი** (იუგოსლავია; საერთ. ოსტ.), **4. სიუზან არკელი** (ინგლისი; საერთ. დიდოსტ.) — 7-7, **5. ალისა მარიჩი** (იუგოსლავია; საერთ. დიდოსტ), 6. **ილდიკო მადლი** (უნგრეთი; საერთ. დიდოსტ.) — 6,5-6,5, 7. **უუჟა ვერეცი-პეტრონიჩი** (უნგრეთი; საერთ. დიდოსტ.), 8. **მარგარეტ ვოისკა** (ბულგარეთი; საერთ. დიდოსტ.) — 6-6, **9. ქრისტინ ფლერლერიო** (საფრანგეთი; საერთ. ოსტ.) — 4,5. **10. ბეატრის მანსილა** (ჩილი; საერთ. ოსტ.) — 3, **11. ჯულია ლებელ-არიასი** (საფრანგეთი; საერთ. ოსტ.) — 2,5. **12 ნიკოლ ტაინონი** (საფრანგეთი; ფიდე-ს ოსტატი) — 1.

### სსრ კავშირის საფეხბურთო პირველობის წინ

# ბათუმის „დინამო" — 89

1983 წლის 12 ნოემბერი. არნახული კოკისპირული წვიმიანი ეს დღე ცხოვლად აღიბეჭდა ბათუმის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდის ქომაგების მეხსიერებაში. ამ დღეს ბათუმის დინამოელებმა უაღრესად დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხეს კუიბიშევის „კრილია სოვეტოვი" და პირველი ლიგის საგზური გაინაღდეს. მას შემდეგ ბათუმის „დინამო" ამ ლიგის მკვიდრია. პირველ ორ წელიწადს გუნდს სატურნირო ცხრილის შუა ადგილი ეკავა. შემდეგ შედეგები გაუარესდა, შარშან კი, განსაკუთრებით პირველი წრის მაჩვენებლით (21 მატჩში სულ 12 ქულა), იგი ლიგის დატოვების ერთ-ერთი უმთავრესი კანდიდატი იყო.

რაკი ეს წერილი ბათუმელ ფეხბურთელთა წარსულით დავიწყეთ, ბარემ იმასაც დავძენთ, რომ მათ პირველ ლიგაში გატანილი და მიღებული ბურთების უარყოფითი ბალანსი ჰქონდათ მუდამ (1984 წ. — 58:67, 1985 წ. — 50:59, 1986 წ. — 38:45, 1987 წ. — 56:71, 1988 წ. — 40:53), რაც, უპირველეს ყოვლისა, გუნდის არასტაბილურ თამაშზე და მნიშვნელოვან ხარვეზებზე მეტყველებს.

ბათუმის „დინამო" კარგა ხანია ახალი სეზონისთვის მზადებას შეუდგა. ჩვენი კორესპონდენტი **ლევან ქავჟარაძე** შეხვდა გუნდის მთავარ მწვრთნელს **შოთა ჰეიშვილს** და რამდენიმე კითხვით მიმართა მას.

**● ბათუმის „დინამო" თქვენ შარშან ჩაიბარეთ პირველი წრის დამთავრებამდე ოთხი ტურით ადრე, სწორედ მაშინ, როცა გუნდი აშკარა კატასტროფის წინაშე იდგა და პირველი ლიგის დატოვება ემუქრებოდა. ასეთ რისკზე ბევრი მწვრთნელი არ წავიდოდა...**

— ცხადია, რისკი იყო. მაგრამ საქმე ის არის, რომ მე საშუალება მეძლეოდა სწორედ ასეთ რთულ სიტუაციაში გამომეცადა თავი როგორც დამოუკიდებლად მომუშავე მწვრთნელს. მერეც, ბათუმი ის ქალაქია, სადაც მიცხოვრია. აქაურ „დინამოშიც" მითამაშია და გული შემტკიოდა ყოფილი კოლექტივისთვის, მინდოდა რამე მეღონა მის სახსნელად.

პირველ და მეორე წრეებს შორის 22-დღიანი შუალედი იყო. ეს დრო მაქსიმალურად გამოვიყენეთ გუნდის ხელახალი კომპლექტაციისა და მომზადებისთვის. მოვიწვიეთ ხუთი ფეხბურთელი: გ. ჯოხაძე, ვ. ქვანია, გ. ფირცხალავა, დ. მეშკოვი და მ. აკოფიანი. შეიკრა საკმაოდ ძლიერი კოლექტივი. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ მეორე წრის პირველ ექვს მატჩში თერთმეტი ქულის აღება შევძელით. სულ კი მეორე წრეში 24 ქულა მოვაგროვეთ, ორჯერ მეტი, ვიდრე პირველ წრეში.

**● გულშემატკივრები ახლა უკვე იმედის თვალით შესცქერიან ახალ სეზონს და თქვენც, ალბათ, ყოველ ღონეს მიმართავთ ბათუმის „დინამომ" უფრო ღირსეული ადგილი დაიკავოს სატურნირო ცხრილში.**

— შევიკრიბეთ 15 იანვარს. ძველი შემადგენლობიდან აღარ არიან გ. ფირცხალავა, მ. აკოფიანი, საკუთარი სურვილით წავიდა ჯ. მენაბდე, თბილისის „დინამოში" მიიწვიეს მ. მახარაძე. მივიღეთ შევსება: ნ. კაკილაშვილი „გურიიდან", თ. კიკლიაშვილი — ქუთაისის „ტორპედოდან", ვ. მიქაშავიძე — თბილისის „დინამოდან". გარდა ამისა, ვცდით რამდენიმე ადგილობრივ ახალგაზრდა ფეხბურთელს. დავძენ იმასაც, რომ ეს არ არის გუნდის საბოლოო შემადგენლობა. შესაძლოა კიდევ შევავსოთ იგი.

17-28 იანვარს ბაკურიანში გავიარეთ საერთო ფიზიკური მომზადების ციკლი, შემდეგ 18 თებერვლამდე ბათუმში ვვარჯიშობდით, მაგრამ უნდა ვთქვა, მეტად არასახარბიელო პირობები გვაქვს, ამინდიც არახელსაყრელია. ბათუმის „დინამოს" და, საერთოდ, აჭარას, არა აქვს სათანადო საწვრთნელი ბაზა, სადაც ასეთ დროს მთელი დატვირთვით შეიძლება მუშაობა, ამიტომაც მივემგზავრებით ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში, სადაც ამხანაგურ მატჩებს გავმართავთ ადგილობრივ გუნდებთან, ბულგარეთში წასვლამდე ბათუმში ვითამაშეთ პოლონეთის ქალაქ ლოძის გუნდთან. მასთან შეხვედრებმა გარკვეული სარგებლობა მოგვიტანა.

ბულგარეთიდან დაბრუნების შემდეგ 18 დღეს ლესელიძეში დავყოფთ. აქვე მივიღებთ მონაწილეობას პირველი ლიგის თასის გათამაშებაში. ჩემპიონატამდე დარჩენილ დროს ბათუმში გავატარებთ, პირველ კალენდარულ მატჩს 6 აპრილს გავმართავთ ვორონეჟის „ფაკელთან". როგორც იცით, უკვე გადავედით სამეურნეო ანგარიშზე.

**● ერთი კითხვაც: რა მდგომარეობაშია სტადიონი?**

სტადიონზე ახლა გაცხოველებული მუშაობაა. მზადდება სათამაშო მინდორი. მიმდინარეობს ტრიბუნების რემონტი, დაიდგმება ახალი ტაბლო გაფართოებული ინფორმაციით.

## საკავშირო თასის გათამაშება ბატუტზე ხტომაში



# როცა შეფასების ორიენტირი უფრო დიდია

წარმატება-წარუმატებლობის საზომი შედარებაა. თუ ამის მიხედვით განვსჯით, ბატუტზე მხტომელთა საკავშირო თასის წლევანდელ გათამაშებაში (კრასნოდარი) საქართველოს წარგზავნილი ქალების გამოსვლა, შარშანდელ ანალოგიურ შეჯიბრებასთან შედარებით, წარმატებად უნდა ჩაითვალოს. ცხადია, ურიგო შედეგი არ არის ის, რომ რუსუდან ხოფერიამ ოქროს (სინქრონული) და ვერცხლის (ინდივიდუალური) მედლები დაისაკუთრა, ხოლო ანა დოლონაძემ და ლია ბენდიანიშვილმა (სინქრონული)— ვერცხლისა. მიუხედავად ამისა, ჩვენი სპორტსმენების გამოსვლა გარკვეულწილად კრიტიკულად უნდა შევაფასოთ. „საიდუმლო“ იმაში მდგომარეობს, რომ შედარების ორიენტირად, თვით სპორტსმენთა მიზეზით, უფრო დიდი წარმატება გადაიქცა — საკავშირო თასის შარშანდელი გათამაშების შემდეგ რუსუდან ხოფერიამ მსოფლიო ჩემპიონატში სამი ოქროს მედალი მოიპოვა, ხოლო ანა დოლონაძესა და ლია ბენდიანიშვილს ევროპის იუნიორთა პირველობაში, რომელშიც ჩვენი პლანეტის თითქმის ყველა უძლიერესი ბატუტზე მხტომელი მონაწილეობდა, ოქროს მედლები ხვდათ. სიმართლე უნდა ვთქვათ, კრასნოდარში ჩვენმა სპორტსმენებმა ერთგვარად დათმეს პოზიციები. თავიანთი შესაძლებლობები სრულად ვერ გამოავლინეს, ცხადია, მარტო შედეგებს არ ვგულისხმობთ. ჩვენი გოგოები სათანადოდ მომზადებულნი არ იყვნენ. აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ ამავე შედარების პრინციპით ჩვენმა ვაჟებმა უკეთესად იასპარეზეს, თუმცა მათი შედეგები ბევრად ჩამორჩება გოგოებისას.

ახლა თვით შეჯიბრების შესახებ.

კრასნოდარში საქართველოს ნაკრები თერთმეტი სპორტსმენის შემადგენლობით გაემგზავრა. რუსეთის ფედერაციისა და უკრაინის გუნდების შემადგენლობა ჩვენსას სამჯერ და მეტჯერ აღემატებოდა. ამას იმიტომ აღვნიშნავთ, რომ არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში სამ-სამი საუკეთესო შედეგი შედიოდა, ეს კი დასახელებულ კოლექტივებს, ჩვენს ძირითად მეტოქეებს, გარკვეულ უპირატესობას ანიჭებდა. სავალდებულო და ნებისმიერი პროგრამის შემდეგ ჩვენი გუნდის ლიდერმა რუსუდან ხოფერიამ, რომელიც ყველაზე მაღალი 11,2 სირთულის კოეფიციენტით გამოდიოდა (I ვარჯიშში მან ყველას აჯობა), 60,0 ქულა მოაგროვა და სამი მეათედი ქულით ჩამორჩა სინქრონულ ხტომებში შარშანდელი საკავშირო ჩემპიონატის ოქროს მედლის მფლობელს ლენინგრადელ ელენა მერკულოვას. მესამე ადგილზე იყო ოქსანა ვერბიცკაია, ანა დოლონაძეს კი ნებისმიერი პროგრამის დამთავრების დროს, დასანანი შეცდომა მოუვიდა — გაჩერებისას წონასწორობა დაკარგა და იატაკზე დავარდა. მიუხედავად ამისა, იგი ფინალში მე-8 შედეგით შევიდა. მაგრამ ეს იყო და ეს, გადამწყვეტი ბრძოლის წინ ანამ ვარჯიშის დროს ფეხი იტკინა. ბატუტზე გამოსვლა ველარ შეძლო და VIII ადგილს დასჯერდა. რაც შეეხება ლია ბენდიანიშვილს, მას კურიოზული შეცდომა მოუვიდა — სხვა ვარჯიში შეასრულა და ნული შეფასება მიიღო. საბოლოო ანგარიშით მან 70-ე ადგილი დაიკავა (შარშან ანალოგიურ შეჯიბრებაში ანამ და ლიამ შესაბამისად VII-VIII ადგილები დაიკავეს).

ნახევარფინალსა და ფინალში საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლაში ზემოთ დასახელებული სამეულის გარდა არავინ ჩარეულა. მერკულოვამ შეძლო უპირატესობის შენარჩუნება და მას ზედიზედ მეორედ გადაეცა საბჭოთა კავშირის თასი. ხოფერიამ და ვერბიცკაიამ ისღა მოახერხეს, რომ ამავე თანმიმდევრობით მომდევნო ადგილები დაეკავებინათ.

წარუმატებლად დაიწყეს გამოსვლა გასული წლის მსოფლიო ჩემპიონებმა სინქრონულ ხტომებში ხოფერიამ და კოლომეეცმა (ქ. ნიკოლაევი). ორი ვარჯიშის შემდეგ 79,4 ქულით ისინი მესამე ადგილზე იყვნენ. 81,9 ქულით დაწინაურდნენ ლუშინა და მერკულოვა, (კრასნოდარი). მეორე ადგილი კი ანა დოლონაძემ და ლია ბენდიანიშვილმა დაიკავეს (80.1 ქულა). ნახევარფინალში ლუშინამ და მერკულოვამ სერიოზული შეცდომები დაუშვეს და მეხუთე ადგილზე გადაინაცვლეს. ლიდერობდნენ ანა და ლია (160,9). მათ კვალში ჩაუდგნენ რუსუდანი და ლენა (157,59), მესამე ადგილზე გადაინაცვლეს ნიკოლაეველებმა ოქსანა შაბლაიმ და ლიდა ცებრენკომ (157,3).

აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ანა დოლონაძე ნატკენი ფეხით გამოდიოდა. ამის გამო ფინალურ ასპარეზობაში საქართველოს ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა თენგიზ ხუდოევმა ლიდერებს რისკის გაწევის უფლება აღარ მისცა. მათ 9-ის ნაცვლად 6,9 სირთულის კოეფიციენტით იასპარეზეს, 201,5 ქულა მოაგროვეს და მეორე ადგილს დასჯერდნენ. 202,1 ქულით საკავშირო თასი დაისაკუთრეს მსოფლიო ჩემპიონებმა. მესამე ადგილზე გავიდნენ შაბლაი და ცებრენკო (200,4).

ვაჟთა ინდივიდუალურ ხტომებში 94 სპორტსმენი ასპარეზობდა, თბილისელმა მიხეილ პელივანიდისმა VI ადგილი დაიკავა. ეს შედეგი ერთი შეხედვით არცთუ სახარბიელოა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ მიხეილს მხოლოდ ხუთი-შვიდი წლით უფროსმა სპორტსმენებმა გაუსწრეს, მისი გამოსვლა წარმატებად უნდა ჩაითვალოს. ჩვენი სპორტსმენებისგან 21-ე იყო ზაზა აბრამიშვილი, 24-ე — ზაზა ხიზანიშვილი, 34-ე — არამ სააკიანი.

ინდივიდუალურ შეჯიბრებაში საკავშირო თასი მოიპოვა მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონმა. როგორც სინქრონულ, ისე ინდივიდუალური პროგრამით ხტომაში, 25 წლის კრასნოიარსკელმა ვადიმ კრასნაშაპკამ.

სინქრონული ხტომები ჩვენმა ვაჟებმა იმედიანად დაიწყეს. პირველი დღის შედეგებით პელივანიდისი და აბრამაშვილი მეხუთე ადგილზე იყვნენ, ნახევარფინალში კი ერთი ადგილით დაწინაურდნენ. მაგრამ გადამწყვეტ ფაზაში აბრამაშვილი სათანადოდ ვერ მოემზადა, შეცდომები მოუვიდა და საბოლოო ანგარიშით ჩვენი წყვილი VII ადგილს დასჯერდა. ეს მით უფრო გულდასაწყვეტია, რომ მეორე ადგილზე მყოფი კრასნაშაპკა და ბოგაჩოვი დავარდნენ და ხუთეულში მოხვედრა სანატრელი გაუხდათ, ჩვენებს საპრიზო ადგილზე გასვლის კარგი შანსი ჰქონდათ.

სააკიანმა და ხიზანიშვილმა (თბილისელთა მეორე წყვილი) მე-14 ადგილი დაიკავეს და ფინალის მიღმა დარჩნენ. მიუხედავად ამისა, მათთვის ეს ადგილი წინგადადგმული ნაბიჯია.

არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში (თუმცა სიგელები კი დარიგდა) საქართველოს ბატუტისტთა ნაკრებმა მესამე ადგილი დაიკავა რუსეთის ფედერაციისა და უკრაინის კოლექტივების შემდეგ.

წერილის დასაწყისში ჩვენი ქალთა გუნდის გამოსვლა ცოტა არ იყოს კრიტიკულად შევაფასეთ. ჩვენ, ცხადია, კარგად ვიცით, რომ სპორტსმენებს, თუნდაც მსოფლიო ჩემპიონს, ყოველთვის გამარჯვებას ვერ მოვთხოვთ. ასპარეზობისას მოულოდნელი და გაუთვალისწინებელი შემთხვევა ყოველთვის ხდება. მაგრამ ახლა ეს თავის გასამართლებელ საბუთად არ გამოგვადგება. რუსუდან ხოფერიამ ინდივიდუალურ შეჯიბრებაში მხოლოდ ერთხელ შეძლო საპრიზო ადგილებისთვის მებრძოლ მეტოქეებზე მეტი ქულა მოეგროვებინა, ხოლო სინქრონულ ხტომებში იგი (კოლომეეცთან ერთად) ფინალამდე მდევრის როლს სჯერდებოდა. ამის მიზეზი, როგორც მწვრთნელებმა გვითხრეს, რეჟიმის დარღვევაა. რუსუდანმა საგრძნობლად მოიმატა წონაში, თუმცა თბილისელი სპორტსმენი პროგრამის კომპოზიციის სირთულითა და სილამაზით ბევრად მაღლა დგას მეტოქეებზე. მისმა მოძრაობამ დინამიკურობა დაკარგა. იმედი გვაქვს, მსოფლიო ჩემპიონი გაუფრთხილდება როგორც რესპუბლიკის, ისე საკუთარ პრესტიჟს და მომავალში სათუოდ არ გახდის გამარჯვებას. რაც შეეხება ანა დოლონაძესა და ლია ბენდიანიშვილს, მათს გამოსვლებშიც საკმაოდ იყო ხარვეზები. ეს, ცხადია. ინდივიდუალური პროგრამით შეჯიბრებას ეხება. მათს ვარჯიშებს აშკარად აკლდა დამაჯერებლობა, საგრძნობია ფსიქოლოგიური მომზადების უკმარისობა. ამას უნდა მივაწეროთ ლიას დაბნეულობაც, რის გამოც სრულიად სხვა ვარჯიში შეასრულა. ჩვენს გაზეთში ამ სამეულის მიმართ ქების მეტი არაფერი დაწერილა და, თუ დღეს, კრიტიკული ტონიც გავურიეთ, ეს, ვფიქრობთ, მკითხველისთვის გასაგები უნდა იყოს. იმას, ვისაც მეტი შეუძლია, ყოველთვის მეტს სთხოვენ, წინ მრავალი შეჯიბრებაა და, იმედი გვაქვს, ჩვენი გოგოები ჟღლავ წარმატებით იასპარეზებენ.

რაც შეეხება ვაჟებს, მათი შედეგები როგორც აღვნიშნეთ, წინგადადგმულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს.

დებულების თანახმად, საკავშირო თასის გათამაშების 35 საუკეთესო მონაწილე (როგორც ქალები, ისე ვაჟები) კოსმონავტ დობროვოლსკის საკავშირო ტურნირში გამოვა. შარშან საქართველოს სპორტსმენ ვაჟთაგან ამ შეჯიბრებაში მხოლოდ პელივანიდისი მონაწილეობდა. წელს კი მას ზაზა აბრამიშვილი, ზაზა ხიზანიშვილი და არამ სააკიანიც შეუერთდებიან.

**ჯემალ კასრაძე.**



# იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატზე

**საუდის** არაბეთის ქალაქებში გაიმართა იუნიორ ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხედფინალური მატჩები.

ქ. დამამში ერთმანეთს შეხვდნენ სსრ კავშირისა და ნიგერიის გუნდები. საბჭოთა ფეხბურთელები, რომლებმაც წინასწარ ჯგუფში სამივე შეხვედრა მოიგეს სირიის (3:1), კოსტა-რიკისა (1:0) და კოლუმბიის (3:1) გუნდებთან, აქაც წინ იყვნენ ანგარიშით 4:0, მატჩის დამთავრებამდე 30 წუთი იყო დარჩენილი, როცა ნიგერიელებმა შეძლეს ოთხივე ბურთის გაქვითვა — 4:4. დამატებით დროში ანგარიში უცვლელი დარჩა. შემდეგ დაინიშნა დამატებითი 11-მეტრიანები, აქ კი უფრო ზუსტნი აღმოჩნდნენ ნიგერიელები, რომლებმაც გაიმარჯვეს ანგარიშით 5:3.

მეოთხედფინალის სხვა შეხვედრები დამთავრდა ასეთი შედეგებით: ბრაზილია — არგენტინა 1:0, პორტუგალია — კოლუმბია 1:0, აშშ — ერაყი 2:1.

ნახევარფინალებში ერთმანეთს შეხვდებიან ბრაზილია — პორტუგალია და ნიგერია — აშშ.

# ნაბიჯი მსოფლიო ჩემპიონატისკენ

**დღეს** ძალზე ძვირად გვილირს ჩვენი ახალგაზრდა კლასიკური სტილის მოჭიდავეების ყოველი გამარჯვება, ყოველი ჯილდო სამომავლო იმედებს რომ გვინერგავს, რადგან ჭიდაობის ამ სახეობამ ჯერჯერობით ვერ დაიბრუნა ძველი ტრადიციები.

ამდენად, მეტად სასიხარულოა საქართველოს რამდენიმე ახალგაზრდა (1969-1970 წ.წ. დაბ.) ფალავნის მიერ მოპოვებული წარმატება კრასნოდონის მეტად ავტორიტეტულ საკავშირო ტურნირზე, რომელიც „ახალგაზრდა გვარდიის“ სახელობის პრიზზე იმართება. ამ შეჯიბრებაში თავი მოიყარა ყველა მოკავშირე რესპუბლიკის, მოსკოვისა და ლენინგრადის ნაკრებებმა. მონაწილეთა შემადგენლობა იმდენად დიდი აღმოჩნდა, რომ თითოეულ ფალავანს შვიდი და მეტი შეხვედრის ჩატარება მოუხდა. მოჭიდავეთა ასეთი მოზღვავება იმითაც აიხსნება, რომ ტურნირი იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი იყო.

კრასნოდარში საქართველოს ნაკრები 28 სპორტსმენით იყო წარმოდგენილი. გუნდმა განსაკუთრებით დიდ წარმატებას მიაღწია 90 კგ წონით კატეგორიაში; ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ქუთაისელი გიორგი კოლუაშვილი („დინამო“) და თბილისელი რამაზ გადაბაძე (ასკ). ქულებით გაიმარჯვა კოლუაშვილმა (მწვრთნელები ვიტალი ალავიძე და ჯემალ კოსტავა) და პირველი ადგილი დაიკავა. გადაბაძეს ვერცხლის მედალი ხვდა წილად.

ზედიზედ 7 შეხვედრა მოიგო თბილისელმა ნაიბი დვალიძემ (ასკ, მწვრთნელები ავთანდილ მაისურაძე და თეიმურაზ ყაზარაშვილი) და უძლიერესის სახელი მოიპოვა მძიმე წონაში.

57 კგ წონაში მოასპარეზე ცხაკაიელ დამირ კირცხალიას, რომელიც თბილისის არმიის სპორტული კლუბის სახელით გამოდის, მთელი მარათონის გავლა მოუხდა — მან 10 შეხვედრა ჩაატარა და საბოლოოდ მეორე ადგილი დაისაკუთრა.

მესამე ადგილები დაიკავეს თბილისელმა გელა პაპაშვილმა და სამტრედიელმა აკაკი ჩაჩუამ (ორივე — ასკ), რომელმაც თვით ამ წონაში გამარჯვებულსაც კი მოუგო.

აღსანიშნავია, რომ საუკეთესო ტექნიკისათვის საგანგებო ჯილდო მსოფლიო ჩემპიონთან, მოსკოველ არკადი კრაინთან ერთად მიიღო რამაზ გადაბაძემ.

საქართველოს გუნდი შეჯიბრებისათვის მოამზადეს დავით დავითაიამ, თამაზ ტუხაშვილმა, ჯემალ მეგრელიშვილმა და ვიტალი ზამთარაძემ.

## „სპორტლოტო“

**გუშინწინ** მოსკოვში შედგა „სპორტლოტოს“ მორიგი, მე-9 ტირაჟები.

**„სპორტლოტო 6 45“-იდან:** 2 (ბიატლონი), 7 (კლასიკური ჭიდაობა), 18 (მძლეოსნობა), 33 (ფეხბურთი), 42 (ჩოგბურთი), 45 (შაში).

**„სპორტლოტო 5 36“-იდან:** 3 (ბობსლეი), 13 (სამთო-სათხილამურო სპორტი), 17 (ციგურაობა), 29 (სასტენდო სროლა), 33 (ფეხბურთი).

სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

# რეგულარული ტურნირი გამარჯვება

გაიმართა უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩები.

**მინსკი.** რადიოტექნიკის ინსტიტუტის კალათბურთელები ლენინგრადის „სპარტაკს“ მასპინძლობდნენ. ორივე შეხვედრა მასპინძლებმა მოიგეს 107:100 (51:46), 76:66 (41:32).

**ალმა-ათა.** ადგილობრივ არმიელებს, რომლებიც ლიდერთა ჯგუფში იმყოფებიან, შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწია რიგის ვეფ-მა. პირველი ტაიმი ფრედ (61:61) დამთავრდა. მასპინძლებმა ბოლოს და ბოლოს მაინც გაიმარჯვეს, მაგრამ მხოლოდ 7 ქულით 108:101.

**გათამაშების ცხრილი**

მდგომარეობა 27 თებერვლისთვის

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| „დინამო“ (მ). | 32 | 21 | 11 | 53 |
| ასკ (ალმა-ათა) | 29 | 19 | 10 | 48 |
| „კალევი“ (ტალ.) | 30 | 15 | 15 | 45 |
| ცსკა | 25 | 18 | 7 | 43 |
| „ჟალგ. (კაუნ.) | 20 | 19 | 1 | 39 |
| „სტატ.“ (ვილნ.) | 26 | 12 | 14 | 38 |
| „დინამო“ (თბ.) | 28 | 10 | 18 | 38 |
| „სტროიტ.“ (კ.) | 20 | 17 | 3 | 37 |
| რტი (მინსკი) | 24 | 10 | 14 | 34 |
| „სპარტ. (ლენ.) | 28 | 6 | 22 | 34 |
| ვეფ (რიგა) | 30 | 4 | 26 | 34 |
| „შახტ.“ (დონ.) | 24 | 7 | 17 | 31 |

## გუშინ...

კიროვის სახელობის პარკის ბავშვთა კალათბურთის სახახლეში გაიმართა უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩი ადგილობრივ „დინამოსა“ და კაუნასის „ჟალგირისს“ შორის. გაიმარჯვეს თბილისელებმა — 105:102 (55:52).

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.

**პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების სპორტნაგებობათა სამმართველოს თბილისის სპორტკომპლექსი გიწვევთ ყველა მსურველს „ჯანმრთელობის სკოლაში“ სამეცადინოდ.**

მისამართი: დავით აღმაშენებლის გამზირი № 95.

„ჯანმრთელობის სკოლა“ — ეს არის ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი ჯგუფები, რომლებიც მუშაობენ ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს 11-12, 13-14, 20-21 საათამდე.

**ძიუდოს ჯგუფში** ჩაირიცხებიან 8 წლისა და უფროსი ასაკის გოგო-ბიჭები. მეცადინეობა ჩატარდება სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს 11 საათიდან; ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს — 20 საათიდან.

**ჩინური ხუნთქვითი ტანვარჯიში „უშუ“.** ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს 7-სა და 30 წუთიდან — 9.00 საათამდე (დროის შერჩევით).

**მხატვრული ტანვარჯიში** (5 წლის და უფროსი ასაკის გოგონებისთვის). სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს 10 საათიდან 19 საათამდე.

**აკრობატიკა.** (5 წლის და უფროსი ასაკის გოგო-ბიჭები). 10 საათიდან და 19 საათიდან —სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

**აერობიკა.** 21 საათიდან—სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

**სამეჯლისო ცეკვები.** 20 საათიდან — სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

**ფიზკულტურელის სახლი № 2 (ლენინის ქ. №37, კიროვის პარკი)**

**ჩინური ხუნთქვითი ტანვარჯიში „უშუ“.** 21 საათიდან — სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

**სიარულისა და სირბილის მოყვარულთა ჯგუფები.** ყოველდღე 8-დან 15 საათამდე.

**ჩოგბურთის მოედნები (დავით აღმაშენებლის გამზირი №117)**

**ჩოგბურთი.** ყოველდღე, 7-დან 22 საათამდე.

ცნობებისათვის შეგიძლიათ მიმართოთ დასახელებულ მისამართებზე არსებულ სამედიცინო კაბინეტში საკონსულტაციო უბანზე.

**დირექცია.**

ინდექსი 66405. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კომბინატში, ხოშარაულის ქ. 29. უე 07118